ჯიეიჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგებები და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა
2019 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 4
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 6
2. ჯგუფის საოპერაციო გარემო 6
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და გაურკვევლობის შეფასების მთავარი წყაროები 22
5. ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება 25
6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები 27
7. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 32
8. გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები 32
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 33
10. ფინანსური ხარჯები 33
11. ძირითადი საშუალებები 34
12. აქტივები გამოყენების უფლებით და იჯარის ვალდებულებები 35
13. გუდვილი 36
14. მარაგები 36
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 36
16. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 39
17. საწესდებო კაპიტალი 39
18. ნასესხები სახსრები 39
19. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება 40
20. ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით 40
21. სავაჭრო და სხვა დავალიანებები 41
22. ფინანსური რისკის მართვა 41
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 48
24. კაპიტალის მართვა 48
25. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 49
26. რეალური ღირებულების შეფასება 49
27. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 53
28. ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცება 54
29. სააღრიცხვო პოლიტიკა 2019 წლის 1 იანვრამდე 54

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯი ეი ჯი-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ჯი ეი ჯი-ს (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“-ნაწილში.*

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო; საქართველო, თბილისი 0171, მ. ალექსიძის ქ. №12, ბიზნეს ცენტრი King David, მე-7 სართული; ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენი აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ მმართველობითი ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები,

რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენი აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ

ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადექვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2020 წლის 29 ივნისი
თბილისი, საქართველო

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი	2019 აშშ დოლარი *	2018 აშშ დოლარი *
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	7	142,039	137,383	50,383	54,206
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(131,040)	(125,208)	(46,481)	(49,402)
მთლიანი მოგება		**10,999**	**12,175**	**3,902**	**4,804**
სხვა შემოსავალი		3,998	964	1,418	380
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები	8	(3,241)	(2,973)	(1,150)	(1,173)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(991)	(619)	(352)	(244)
სხვა საოპერაციო ხარჯები		-	(368)	-	(145)
საოპერაციო მოგება		**10,765**	**9,179**	**3,818**	**3,622**
ფინანსური შემოსავალი		44	70	16	28
ფინანსური ხარჯი	10	(7,333)	(3,973)	(2,600)	(1,568)
მოგება დაბეგვრამდე		**3,476**	**5,276**	**1,234**	**2,082**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-	-	-
წლის მოგება		**3,476**	**5,276**	**1,234**	**2,082**
სხვა სრული შემოსავალი/ (ზარალი):					
მუხლები, რომლებიც შემდგომში ხელახლა კლასიფიცირებული იქნება მოგებასა და ზარალში:					
უცხოური ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის კონვერტირება წარსადგენ ვალუტაში		-	-	(108)	(85)
წლის სხვა სრული ზარალი		**-**	**-**	**(108)**	**(85)**
სულ წლის სრული შემოსავალი		**3,476**	**5,276**	**1,126**	**1,997**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

კელვინ ვილლიამ ალდუსი
დირექტორი

2020 წლის 29 ივნისი
თბილისი, საქართველო

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 8-56, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

	შენი შვნა	2019 წლის 31 დეკემბერი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი*	2018 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი*
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	11	7,440	7,307	2,594	2,731
აქტივები გამოყენების უფლებით	12	2,226	-	776	-
გუდვილი	13	41,974	41,974	14,637	15,682
		51,640	**49,281**	**18,007**	**18,413**
მოკლევადიანი აქტივები					
მარაგები	14	13,341	26,145	4,652	9,769
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	22,217	10,511	7,747	3,927
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	2,767	1,395	965	521
		38,325	**38,051**	**13,364**	**14,217**
სულ აქტივები		**89,965**	**87,332**	**31,371**	**32,630**
კაპიტალი და ვალდებულებები					
კაპიტალი და რეზერვები					
საწესდებო კაპიტალი	17	-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		6,821	3,345	2,547	1,313
დაგროვილი საკურსო სხვაობა		-	-	(169)	(61)
სულ კაპიტალი		**6,821**	**3,345**	**2,378**	**1,252**
გრძელვადიანი ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები	18	42,770	46,343	14,914	17,314
იჯარის ვალდებულებები	12	2,222	-	775	-
		44,992	**46,343**	**15,689**	**17,314**
მოკლევადიანი ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები	18	6,882	6,424	2,400	2,400
იჯარის ვალდებულებები	12	225		78	
ფინანსური ვალდებულება რეალური ღირებულებით, მოგება ზარალში ასახვით	20	9,492	19,849	3,310	7,416
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	21,553	11,371	7,516	4,248
		38,152	**37,644**	**13,304**	**14,064**
სულ ვალდებულებები		**83,144**	**83,987**	**28,993**	**31,378**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**89,965**	**87,332**	**31,371**	**32,630**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

კელვინ ვილლიამ ალდუსი
დირექტორი

2020 წლის 29 ივნისი
თბილისი, საქართველო

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 8-56, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

ათასი ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	**-**	(1,931)	**(1,931)**
წლის მოგება	-	5,276	**5,276**
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	**-**
სულ სრული შემოსავალი 2018 წლისთვის	-	5,276	**5,276**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**-**	**3,345**	**3,345**
წლის მოგება	-	3,476	**3,476**
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	**-**
სულ სრული შემოსავალი 2019 წლისთვის	-	3,476	**3,476**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**-**	**6,821**	**6,821**

ათასი აშშ დოლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი საკურსო სხვაობის კორექტირება	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	**-**	**24**	**(769)**	**(745)**
წლის მოგება	-	-	2,082	**2,082**
პერიოდის სხვა სრული შემოსავალი	-	(85)	-	**(85)**
სულ სრული შემოსავალი 2018 წლიდან	-	**(85)**	**2,082**	**1,997**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(61)**	**1,313**	**1,252**
წლის მოგება	-	-	1,234	**1,234**
წლის სხვა სრული ზარალი	-	(108)	-	**(108)**
სულ სრული შემოსავალი 2019 წლისთვის	-	(108)	1,234	1,126
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(169)**	**2,547**	**2,378**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

კელვინ ვილლიამ ალდუსი
დირექტორი

2020 წლის 29 ივნისი
თბილისი, საქართველო

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 8-56, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

	2019 ლარი	2018 ლარი	2019 აშშ დოლარი	2018 აშშ დოლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მოგება დაბეგვრამდე	3,476	5,276	1,234	2,082
კორექტირებები:				
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯებისთვის	706	642	250	253
გამოყენების უფლებით აქტივების ამორტიზაციისთვის	259	-	92	-
ფინანსური შემოსავლისთვის	(44)	(70)	(16)	(28)
საპროცენტო ხარჯისთვის	3,500	2,524	1,241	988
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული არარეალიზებული ზარალისთვის	218	1,590	77	627
საკურსო სხვაობისთვის	-	-	(40)	10
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	**8,115**	**9,962**	**2,838**	**3,932**
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები:				
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	2,356	(6,368)	836	(2,513)
შემცირება/(ზრდა)მარაგებში	12,625	(12,106)	4,477	(4,776)
(შემცირება)/ზრდა ფინანსურ ვალდებულებებში რეალური ღირებულებით, მოგება ზარალში ასახვით	(10,357)	15,002	(3,674)	5,919
შემცირება სავაჭრო და სხვა დავალიანებებში	(211)	(3,389)	(75)	(1,337)
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან	**12,528**	**3,101**	**4,402**	**1,225**
მიღებული პროცენტი	44	70	16	28
გადახდილი პროცენტი	(3,498)	(2,526)	(1,241)	(988)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	**9,074**	**645**	**3,177**	**265**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
შვილობილი საწარმოების შეძენისას ფულადი ნაკადების გადინება	-	(15,676)	-	(6,000)
ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული გადახდა	(839)	(451)	(298)	(178)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(839)**	**(16,127)**	**(298)**	**(6,178)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	-	15,733	-	6,000
ფინანსური იჯარა	(209)	-	(74)	-
ნასესხები სახსრების გადაფარვა	(6,779)	(3,318)	(2,405)	(1,286)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(6,988)**	**12,415**	**(2,479)**	**4,714**
სავალუტო კურსის ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	125	(83)	44	(33)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა,(/შემცირება) წმინდა	**1,372**	**(3,150)**	**444**	**(1,232)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,395	4,545	521	1,753
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის/პერიოდის ბოლოს	**2,767**	**1,395**	**965**	**521**

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

კელვინ ვილლიამ ალდუსი
დირექტორი

2020 წლის 29 ივნისი
თბილისი, საქართველო

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 8-56, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მოთხოვნების გათვალისწინებით, 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, შპს ჯიეიჯი-სათვის (შემდგომში კომპანია ან ჯიეიჯი) და მისი შვილობილი საწარმოსთვის შპს პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია (შემდგომში ჯგუფი ან ჯიეიჯი ჯგუფი)

შპს ჯიეიჯი დაფუძნდა 2017 წლის 4 აგვისტოს საიდენტიფიკაციო ნომრით 405221950 და მისი ადგილმდებარეობა საქართველოშია. კომპანია და მისი შვილობილი საწარმო შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებად დაფუძნდნენ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის უშუალო მშობელი კომპანია იყო შპს პეტროკას ფიუელ სერვისიზ (კვიპროსი) და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის შპს პეტროკას ენერჯი ინთერნეშენალ ლიმითედი (კვიპროსი).

ჯიეიჯი-ს ძირითადი საქმიანობაა საავიაციო საწვავის შესყიდვა ძირითადად პეტროკას ენერჯი ლიმითედისგან (საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო) და გაყიდვა შპს პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიაზე, მთლიანად ფლობილ შვილობილ საწარმოზე და ასევე შპს ჯორჯიან ეარვეისზე. შპს პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია ახორციელებს საწვავის დისტრიბუციას საქართველოს 4 აეროპორტში: თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და მესტიის აეროპორტებში. ჯგუფი ყიდის ორი ტიპის საწვავს: TS-1 და JET A-1

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ჭავჭავაძის გამზირი #34, თბილისი, საქართველო.

2. ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასა და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ისტორიული ღირებულების მეთოდით, მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების მეშვეობით, რაც ეფუძნება რეალურ ღირებულებას, და მარაგების თავდაპირველი და შემდგომი შეფასების მეშვეობით, რეალური ღირებულების საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. გარდა ფასს 16 *იჯარები*-ს, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, მიღებით გამოწვეული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებისა, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება 2019 წლის 1 იანვრიდან, იხილეთ შენიშვნები 5 და 12.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო დაშვებები და ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (გადაცემის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არასაკონტროლო წილის ოდენობის მიუხედავად.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ჯგუფი აფასებს არასაკონტროლო წილს, რაც წარმოადგენს საკუთრების ამჟამინდელ წილს და მის მფლობელს უფლებამოსილებას ანიჭებს, მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან (ა) რეალური ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილის სახით. არასაკონტროლო წილი, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება რეალური ღირებულებით.

გუდვილის შეფასება ხდება შესაძენი საწარმოსთვის გადახდილი ანაზღაურებიდან შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულების, არასაკონტროლი წილის და შეძენის თარიღამდე მოცემულ საწარმოში წილის სამართლიანი ღირებულების გამოკლებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „იაფად შეძენა“) აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს, მოხდა თუ არა ყველა შეძენილი აქტივის და მიღებული ვალდებულების და პირობითი ვალდებულების იდენტიფიცირება და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯები. სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება ვალის საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. ჯგუფი და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

არასაკონტროლო წილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნებადია იმ წილზე, რომელსაც ჯგუფი არ ფლობს არც უშუალოდ და არც არაპირდაპირ. არასაკონტროლო წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

გუდვილი. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გუდვილი გადანაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს იღებენ ბიზნესის გაერთიანების სინერგიისაგან. მსგავსი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენენ ყველაზე ქვედა დონეს, რომელზეც ჯგუფი ახორციელებს გუდვილის მონიტორინგს და ისინი არ არიან უფრო დიდი ზომის, ვიდრე რომელიმე საოპერაციო სეგმენტი.

ჯგუფი გუდვილის გაუფასურებაზე ტესტირებას ახორციელებს სულ მცირე ყოველწლიურად და აგრეთვე მაშინ, როდესაც არის გუდვილის გაუფასურების ნიშნები. იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება, რომელიც შეიცავს გუდვილს, შეუდარდება ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს გამოყენების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (შემცირებული გასვლის დანახარჯებით) შორის უდიდესს. ნებისმიერი აღიარებული გაუფასურება მაშინვე აისახება ხარჯებში და არ ხდება მისი შემდეგში ანულირება.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (რომელზეც გადანაწილებულია გუდვილი) გასვლისას წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი მოიცავს გასულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულებას, რომელიც, საზოგადოდ, შეფასებულია, გასული ოპერაციის და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შენარჩუნებული ნაწილის ფარდობითი ღირებულებების საფუძველზე.

ამონაგები. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება წმინდად, დისკონტირების, უკუგებებისა და დღგ-ს გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან ჯგუფს ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია. ჯგუფი არ ყიდის საქონელს მოცულობითი ფასდათმობებით. საქონლის გაყიდვიდან ამონაგები აღიარებულია ხელშეკრულებაში დადგენილი ფასით.

ჯგუფის გაყიდვების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება საავანსოგადახდის პირობებით საქონელზე კონტროლის გადაცემის მომენტში. იშვიათ შემთხვევებში შესაძლებელია შეთანხმება გადავადებული გადახდის პირობებზე , თუმცა გადავადება არასოდეს სცდება თორმეტ თვეს, შესაბამისად, წარმოდგენილი არ არის დაფინანსების ელემენტი და ფასი არ კორექტირდება მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გავლენებისთვის.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

ხელმძღვანელობა შემდგომში საქონლის გაყიდვიდან ამონაგებს ჰყოფს ორ ნაწილად: საცალო და კორპორაციული გაყიდვების ამონაგებები. საცალო გაყიდვების ამონაგებები შედგება საცალო კლიენტებისადმი გაყიდვებისგან. ორივე სახის გაყიდვები ხორციელდება იურიდიული პირებისადმი. ორივე ამონაგები აღიარდება დროის მონაკვეთში.

როდესაც ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების რამდენიმე მოვალეობას შეიცავს, ოპერაციის ფასი თითოეული სამუშაოს შესრულების მოვალეობაზე გადანაწილდება მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის საფუძველზე.

ფინანსური შემოსავალი. ფინანსური შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს, რომელიც აღიარებულია დარიცხვის საფუძველზე.

ნასესხები სახსრების ხარჯები. ყველა ნასესხები სახსრების ხარჯები აღიარებულია იმ პერიოდის მოგებასა და ზარალში, რომელშიც მათ ჰქონდათ ადგილი.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივები გამოყენების უფლებით. ჯგუფი იჯარით იღებს ოფისს, მიწას და საავიაციო საწვავის ბაზის ტერიტორიებს. აქტივები, რომლებიც წარმოიქმნება იჯარიდან თავდაპირველად შეფასდება ამჟამინდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივები გამოყენების უფლებით შეფასდება თვითღირებულებით და შედგება შემდეგისგან:

- იჯარის ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა, რომელიც განხორციელდა დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო წამახალისებლებით;
- ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, და
- იჯარის შეთანხმებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე აქტივის აღდგენის ხარჯები.

აქტივები გამოყენების უფლებით საერთოდ გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე.

ყველა იმ იჯარისთვის, სადაც ჯგუფი მოიჯარეა, იჯარის ვადა უფრო მოკლეა ვიდრე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა და ის ცვეთას ექვემდებარება წრფივი მეთოდის საფუძველზე ოფისის, მიწის და საავიაციო საწვავის ბაზის ტერიტორიების იჯარის პერიოდის განმავლობაში, 4-38 წლამდე.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შემავალი მუხლები ფასდება იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, სადაც ჯგუფი საქმიანობს (სამუშაო ვალუტა). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში და აშშ დოლარში. ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს). კაპიტალის ანგარიშები ლარიდან აშშ დოლარში კონვერტირდება ისტორიული ღირებულებით მისი აღიარებისას.

ტრანზაქციები და ნაშთები. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში ამ ტრანზაქციების განხორციელების დღეს მოქმედი სავალუტო კურსით. საკურსო მოგება და ზარალი, რომელიც წარმოქმნილია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციების ანგარიშსწორების შედეგად და უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს მოქმედი კურსით კონვერტაციის შედეგად ჯგუფის სამუშაო ვალუტაში, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. ნასესხებ სახსრებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო შემოსულობები და ზარალი, აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, „ფინანსურ შემოსავალში ან დანახარჯებში“. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, „სხვა შემოსულობა/(ზარალი), - წმინდა“.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს მოქმედი სავალუტო კურსები, რომლებიც გამოყენებული იქნა ჯგუფის მიერ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მიზნებისთვის:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ლარი/აშშ დოლარი	2.8677	2,6766
ლარი/ევრო	3.2095	3,0701

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ან შემდგომში ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით. მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაგროვილ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, რომელიც მცირდებაშესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით; საგადასახადო კრედიტის თანხა გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების გასანაწილებელ დივიდენდებზე ნამრავლის საპირისპიროდ, თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების გაანაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდება, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გადაიხდება.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებასა და წარმომადგენლობით დანახარჯებზე, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისათვის გადახდილი ყველა ავანსი და მსგავს საწარმოებთან სხვა გარკვეული ოპერაციები, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მსგავსი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა', რომლებიც განაწილებულია ან ითვლება განაწილებულად დივიდენდის ფორმით. მოგების გადასახადი გასანაწილებელი დივიდენდის 15%-ის ოდენობით გადაიხდება დარიცხულ თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები, აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის და საჭიროებისამებრ გაუფასურების ანარიცხებით.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ და შესაძლებელია დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში „სხვა არასაოპერაციო დანახარჯებში, წმინდად".

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება, საჭიროებისამებრ, თუ მოხდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილება.

სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ან გადაფასებული თანხების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, როგორც იქნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, შეფასებაში ნებისმიერი ცვლილების გავლენით, რომელიც აღირიცხება პერსპექტიულ საფუძველზე.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ჯგუფის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში) შემდეგია:

შენობა - ნაგებობები	20
რეზერვუარები	15
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	5-20
სატრანსპორტო საშუალებები	5
საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	5-7

საკუთრებაში მყოფ მიწასა და მშენებარე საკუთრებას ცვეთა არ ერიცხება.

გუდვილის გარდა, მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი ყოველი საანგარიშო თარიღისთვის გადახედავს მისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს იმისათვის, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება იმაზე, რომ ამ აქტივებმა განიცადეს გაუფასურების ზარალი. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, დგინდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. იმისათვის, რომ შეფასდეს გაუფასურების ზარალის ოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იქ, სადაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი თანხის ოდენობის დადგენა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება.

ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს რეალურ ღირებულებას, (რომელიც შემცირებულია გაყიდვების ხარჯებით) და გამოყენების ღირებულებას შორის. გამოყენების ღირებულების შეფასებისას დადგენილი სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ იმჟამინდელ ღირებულებამდე დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების და აქტივისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს.

თუ დადგინდა, რომ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება არის მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის გატარებული გადაფასებული თანხით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი განიხილება, როგორც გადაფასების შემცირება.

თუ შემდგომში გაუფასურების ზარალი აღდგება, აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადახედილ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ გადააჭარბებს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, აქტივისთვის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო წინა წლებში. გაუფასურების ზარალის აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის გატარებული გადაფასებული თანხით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი, განიხილება, როგორც გადაფასების ზრდა.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთათვისაც საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ბოლო დროინდელ ე.წ. „გაშლილი ხელის" პრინციპით შესრულებულ ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემები. რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონის შეფასება არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი ემპირიული ამოსავალი მონაცემი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასება, არის შეფასება რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები), მრჩევლებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის და მარეგულირებლებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით *("ECL")*. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების და ნებისმიერი პრემიის ან დისკონტის ამორტიზაციას ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს. .

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს შეფასების შემდეგ კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL'), რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ('FVOCI') და ამორტიზებული ღირებულებით ('AC'). ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების პორტფელის მართვისთვის; და (ii) ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3 საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - ჯგუფის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) არ არის შესაფერისი, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL').

ჯგუფის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება ჯგუფის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. ჯგუფის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ ჯგუფი აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ გადახდას ("SPPI").

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც შეუთავსებელია საბაზისო სასესხო ხელშეკრულებასთან, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით". SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლის შემდეგ არსებული პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. ჯგუფი პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს სავალო ინსტრუმენტების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და აღბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გავლენითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გავლენითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომლის მიხედვითაც ზარალის რეზერვი ფასდება თანხით, რომელიც ამ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, ხორციელდება სავაჭრო მოთხოვნების დაჯგუფება საერთო საკრედიტო რისკების მახასიათებლების მიხედვით (მოთხოვნები შესაძლებელია დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქციის ტიპის, კლიენტების რეიტინგის, გირაოს და სავაჭრო კრედიტის დაზღვევის მიხედვით).

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც ჯგუფი ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

ჯგუფი გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე..

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი ასახულია აქტივის სახით, როდესაც რეალური ღირებულება დადებითია და ვალდებულების სახით, როდესაც რეალური ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილება წლის მოგება-ზარალში აისახება. ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

ფინანსურ ვალდებულებებში და სხვა არაფინანსურ ხელშეკრულებებში ჩართული გარკვეული წარმოებული ინსტრუმენტები აღირიცხება, როგორც ცალკე წარმოებული ინსტრუმენტები, როდესაც მათი რისკები და მახასიათებლები მჭიდროდ არ არის დაკავშირებული ძირითად ხელშეკრულებასთან.

უცხოური ვალუტის ფორვარდები, ჩართული გაყიდვის და შესყიდვის შეთანხმებებში, განცალკევდება მათი ძირითადი ხელშეკრულებებიდან და ცალკე აღირიცხება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონტრაქტი დენომინირებულია კონტრაქტის მონაწილე ნებისმიერი მნიშვნელოვანი მხარის სამუშაო ვალუტაში ან ვალუტაში, რომლის გამოყენება გავრცელებულია იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ოპერაცია განხორციელდა, როგორიცაა, მაგალითად აშშ დოლარი და ევრო კონტრაქტებისათვის.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3 საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ჯგუფის მიერ დადებული ნავთობ-პროდუქტების შესყიდვის ხელშეკრულებები მოიცავს ცვლადობას, რომელიც დაკავშირებულია საქონლის საბაზრო ღირებულებასთან, შესაბამისად, მოიცავს ჩართულ წარმოებულსაც, რომელიც არ არის მჭიდროდ დაკავშირებული ძირითად ფინანსურ ვალდებულებასთან. ჯგუფმა არჩია რეალური ღირებულების ოფციონი იმისათვის, რათა არ გააცალკევოს ჩართული წარმოებული და ძირითადი ფინანსური ვალდებულება და აღნიშნოს ყველა ჰიბრიდული ფინანსური ვალდებულება რეალური ღირებულებით, მოგება ზარალში ასახვით (FVTPL). ჰიბრიდული ფინანსური ვალდებულების (რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით) რეალური ღირებულების შემდგომი ცვლილება კორექტირდება მარაგების ღირებულებაში იმის საფუძველზე, რომ მსგავსი ცვლილებები შესყიდვის და იმ სხვა ხარჯების ნაწილია, მარაგების მათ ამჟამინდელ ადგილმდებარეობასა და პირობებში მიყვანისთვის რომ იქნა გაწეული.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

ჯგუფი გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე..

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც 'შემდგომი აღრიცხვითამორტიზებული ღირებულებით' ('AC'), გარდა (i) "რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა" ("FVTPL"): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგალითად მოკლე პოზიცია ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისას), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

იჯარის ვალდებულებები. იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება წმინდა ამჟამინდელი ღირებულების საფუძველზე. იჯარის ვალდებულებები მოიცავს იჯარის ფიქსირებული გადახდების (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები), და იჯარის წამახალისებელი აქტივის სხვაობის წმინდა ამჟამინდელ ღირებულებას.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც ჯგუფის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც ჯგუფს უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივს გამოყენების უფლებით, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი – 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3 საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარის გადახდები განაწილდება ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები აისახება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

მუდმივი პერიოდული განაკვეთის განსასაზღვრად, ჯგუფი იყენებს ბოლო დროინდელ მესამე მხარეების დაფინანსების განაკვეთს, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ არის გამოქვეყნებული.

გაგრძელების შესაძლებლობები შეყვანილია ჯგუფის იჯარებში, თუ ეს გამოყენებადია. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის ჯგუფის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივების მართვასთან დაკავშირებით. გაგრძელების შესაძლებლობების სარგებლობის უფლება მხოლოდ ჯგუფს აქვს და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება. იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება ძირითადი საშუალებების მოკლევადიან იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლების ვადაც 12 თვე ან ნაკლებია.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ იწვევს ვალდებულების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის („catch up") მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) არსებობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და ეს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია ("FVTPL"). მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდაზე.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3 საანრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მარაგები. ჯგუფის მარაგები წარმოადგენს საწვავ პროდუქტებს გადასაყიდად და სხვა მარაგებს. საწვავი პროდუქტები გადასაყიდად ის შეძენილი საქონელია, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა გაიყიდოს, ფასის რყევებისგან მოგების წარმოქმნის მიზნით. ეს მარაგები თავდაპირველად აღიარდება საქონლის ფორვარდული ფასის საფუძველზე (ანუ შეფასებული ფორვარდული ფასით ანგარიშსწორებისას) და შემდგომში ფასდება რეალური ღირებულებით, შემცირებული გაყიდვის ხარჯებით, გაყიდვების ხარჯით შემცირებულ რეალურ ღირებულებაში, ცვლილებებთან ერთად, რაც აღიარებულია ცვლილების პერიოდში მოგებასა და ზარალში.

სხვა მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულებისა და გაყიდვის დანახარჯებით.

სხვა მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება FIFO-ს შეფასების მეთოდის საფუძველზე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი. ჯგუფის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია ჯგუფის წესდებით. ცვლილებები ჯგუფის წესდებაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ჯგუფის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება მოგების გადასახადის იმ ოდენობაზე,, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და სამემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციებიაისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის გადახდა/ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გადასახდელი დღგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი სამუალებების შეძენასთან გადავადდება 5 - 10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელთა დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა 20% ან მეტია.

თანამშრომელთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, პრემიადა სამედიცინო დაზღვევა, დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცება.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და გაურკვევლობის შეფასების მთავარი წყაროები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას აგრეთვე იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მიხედვით, მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა და გულისხმობს მეთოდოლოგიის, მოდელებისა და მონაცემების გამოყენებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია განმარტებულია 22-ე შენიშვნაში. დეფოლტის რეიტინგებს, ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის ანარიცხზე ჯგუფი რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელებსა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის.

ჯგუფმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის გამოიყენა დასაბუთებადი პერსპექტიული ინფორმაცია, ძირითადად საკუთარი მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელის შედეგი. მნიშვნელოვანი პერსპექტიული დაშვებები, რომლებიც ურთიერთკავშირშია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან, იყო უცხოური ვალუტის გაცვლის კურსები და საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის რეიტინგი.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გაზრდა ("SICR"). იმისათვის, რომ განისაზღვროს მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გაზრდა, ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში დეფოლტის დადგომის რისკს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ადარებს თავდაპირველი აღიარებისას დეფოლტის რისკს. შეფასება მოიცავს საკრედიტო რისკის ფარდობით ზრდას და არა საკრედიტო რისკის კონკრეტული დონის მიღწევას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ჯგუფი ითვალისწინებს ყველა გონივრულ და დასაბუთებად პერსპექტიულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რაც მოიცავს ფაქტორების სპექტრს, მათ შორის კონკრეტული მომხმარებლის პორტფელის ქცევის ასპექტებს. ჯგუფი საკრედიტო რისკის გაზრდის ქცევით ნიშნებს გამოავლენს გადახდისუუნაროობის დადგომამდე და შესაფერის პერსპექტიულ ინფორმაციას ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შეფასებაში, ინდივიდუალური ინსტრუმენტის დონეზე.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

4 მნიშვნელოვანი საღრიცხვო განსჯა და გაურკვევლობის შეფასების მთავარი წყაროები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე ექნებოდა შემდეგი გავლენა:ზრდა 70 ათასი ლარის ოდენობით ან შემცირებას 70 ათასი ლარის ოდენობით (2018 წელი: ზრდა 64 ათასი ლარი და შემცირება 64 ათასი ლარი).

გუდვილის გაუფასურება - იმის განსაზღვრა, გაუფასურდა თუ არა გუდვილი, მოითხოვს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულების შეფასებას, რომელზეც გუდვილი გადანაწილდა. გამოყენების ღირებულების გამოთვლა დირექტორებისგან მოითხოვს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას და ამჟამინდელი ღირებულების გამოსათვლელად შესაბამისი დისკონტირების განაკვეთის შეფასებას.

კაპიტალის შეწონილი საშუალო ღირებულება (WACC) სავარაუდოდ იყო 14%. ეს განაკვეთი რომ გაზრდილიყო/შემცირებულიყო 1 საპროცენტო პუნქტით, გუდვილის გამოყენების ღირებულება იქნებოდა 5,388 ათასი ლარით ნაკლები/6,396 ათასი ლარით მეტი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (2018: იქნებოდა 5,328 ათასი ლარით ნაკლები/ 6,333 ათასი ლარით მეტი). დისკონტირებული ფულადი ნაკადის (DCF) მოდელით მიღებული ამონაგების და რეალიზებული საქონლის თვითღირებულების 5 პროცენტით გაზრდა/შემცირება გამოიწვევდა გუდვილის გამოყენების ღირებულების 4,565 ათასი ლარით გაზრდას/4,565 ათასი ლარით შემცირებას 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელს (2018: იქნებოდა 5,065 ათასი ლარით მეტი / 5,065 ათასი ლარით ნაკლები).

გამოყენების უფლებით აქტივების გაუფასურება. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების უფლების გამოსაყენებლად. გაგრძელების უფლება იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმენება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

იჯარით აღებული უძრავი ქონებისთვის, ტიპურად, ყველაზე შესაბამისი შემდეგი ფაქტორებია:

- თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები შეწყვეტაზე (არ გაგრძელებაზე), ჩვეულებრივ, ჯგუფს აქვს გონივრული რწმენება იჯარის გაგრძელებაზე (არ შეწყვეტაზე).
- თუ მოსალოდნელია, რომ რომელიმე საიჯარო გაუმჯობესებას ექნება მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, ჩვეულებრივ, ჯგუფს გააჩნია გონივრული რწმენება იჯარის გაგრძელებაზე (ან არ შეწყვეტაზე)

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

4 მნიშვნელოვანი საღრიცხვო განსჯა და გაურკვევლობის შეფასების მთავარი წყაროები (გაგრძელება)

სხვა შემთხვევაში ჯგუფი ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, მათ შორის ისტორიული იჯარის ვადას და იჯარით აღებული აქტივის ჩასანაცვლებლად გაწეულ ხარჯებს.

გაგრძელების და შეწყვეტის უფლება. გაგრძელების და შეწყვეტის უფლება შეყვანილია ოფისის, მიწის და საავიაციო საწვავის ბაზის ტერიტორიების იჯარებში. აღნიშნული უფლება გამოიყენება ჯგუფის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვასთან დაკავშირებული ოპერაციული მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის.

იჯარის ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, რომელიც გაგრძელების უფლების გამოყენებისთვის ეკონომიკური წამახალისებელის შესაქმნელად არის საჭირო. გაგრძელების უფლება შეყვანილია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობსგონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება.

იჯარის ხანგრძლივობა გადაფასდება თუ ეს შესაძლებლობა ფაქტობრივად გამოიყენება ან ჯგუფი ვალდებული ხდება, რომ ის გამოიყენოს. გონივრული რწმუნების შეფასება გადაიხედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებებში მნიშვნელოვან ცვლილებას ექნება ადგილი, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და ეს მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება.

იჯარის ვალდებულებების განსასაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. მუდმივი პერიოდული განაკვეთის განსასაზღვრად ჯგუფი იყენებს მისი ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს აშშ დოლარში დენომინირებული იჯარების დისკონტორების განაკვეთის გაანგარიშების საფუძვლად იმიტომ, რომ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი არ შეიძლება ადვილად განისაზღვროს და ბოლოდროინდელი მესამე მხარეების საფინანსო განაკვეთს ლარში დენომინირებულ იჯარებისთვის, რომელიც ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (სებ).

2019 წლის 31 დეკემბერს დისკონტირების განაკვეთში 10%-იანი ზრდა ან შემცირება გამოიწვევდა იჯარის ვალდებულებებში 63 ათასი ლარით შემცირებას და 67 ათასი ლარით (2019 წლის 1 იანვარს: 70 და 74 ათასი ლარი).

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

5. ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 16, „იჯარა" (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ჯგუფმა სტანდარტის გამოყენება მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვიტა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარი ბალანსების გადაფასების გარეშე და სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივების გამოყენებით. ყველა აქტივი გამოყენების უფლებით ფასდება იჯარის ვალდებულების თანხით სტანდარტის მიღებისას.

ფასს 16-ს პირველად მიღებისას, ჯგუფმა გამოიყენა სტანდარტით დაშვებული შემდეგი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა:

- გონივრულად მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო პორტფელისთვის ერთი და იგივე დისკონტირების განაკვეთის გამოყენება,
- დაყრდნობა მანამდე განხორციელებულ შეფასებებზე იმის შესახებ, იჯარები წამგებიანია თუ არა, როგორც გაუფასურების მიმოხილვის შესრულების ალტერნატივა-2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წამგებიანი ხელშეკრულებები არ ყოფილა.
- რეტროსპექტიული ხედვის გამოყენება იჯარის იმ ვადების განსაზღვრისას, სადაც ხელშეკრულება მოიცავს იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობას.

ჯგუფმა ასევე არჩია, არ გადაეფასებინა ხელშეკრულება წარმოადგენს თუ არა, ან მოიცავს თუ არა იჯარას თავდაპირველი მიღების თარიღით. ამის ნაცვლად, იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც გაფორმდა გადასვლის თარიღამდე, ჯგუფი ეყრდნობოდა მის მიერ განხორციელებულ შეფასებას, რომელიც გაკეთდა ასს 17-ის, *იჯარა,* და IFRIC 4 *იმის განსაზღვრება, შეთანხმება მოიცავს თუ არა იჯარას* მიღებისას. ჯგუფის მიერ იჯარით გაცემის ვალდებულებებისთვის გამოყენებული ზღვრული სასესხო განაკვეთის შეწონილი საშუალო 2019 წლის 1 იანვარს იყო 12 % ლარში დენომინირებული იჯარებისთვის და 6% აშშ დოლარში დენომინირებული იჯარებისთვის.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შენიშვნა 25) საოპერაციო იჯარის ვალდებულებების და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღიარებული იჯარის ვალდებულებების შეჯერებას:

	2018 წლის 31 დეკემბერი / 2019 წლის 1 იანვარი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი / 2019 წლის 1 იანვარი აშშ დოლარი
სულ სამომავლო მინიმალური იჯარის გადახდები შეუქცევადი საოპერაციო იჯარებისთვის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შენიშვნა 25)	3,614	1,350
- მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირების გავლენა	(1,129)	(422)
სულ იჯარის ვალდებულებები 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.	**2,485**	**928**
რომელთაგან შემდეგი არის:		
მოკლევადიანი იჯარის ვალდებულებები	38	14
გრძელვადიანი იჯარის ვალდებულებები	2,447	914

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებამ გავლენა იქონია 2019 წლის 1 იანვარს ფინანსური მდგომარეობის

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი – 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი – 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი – 2.5345 ლარს)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

ანგარიშგების შემდეგ მუხლებზე:

	ფასს 16-ის მიღების გავლენა ლარი	ფასს 16-ის მიღების გავლენა დოლარი
ზრდა გამოყენების უფლებით აქტივებში	2,485	928
ზრდა იჯარის ვალდებულებებში	2,485	928

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფზე:

- ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით " (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)
- ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ასს 28 "გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში " (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება" (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გავლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გავლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ს მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამ შესწორებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე გავლენა არ ექნება.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები" - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის" განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის" გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ჯგუფი არ მოელის, რომ ამ შესწორებებს მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ.

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ასს 1-სა და ასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულ, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა-ფასს 9, ასს 39 და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოშვებული 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდგეგ). შესწორებები გამოწვეული იყო ისეთი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის ჩანაცვლებით, როგორიცაა LIBOR და სხვა შემოთავაზებული ბანკთაშორისი განაკვეთები („IBOR-ები"). ეს შესწორებები დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების სპეციფიური აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან ჰეჯირების იმ ურთიერთობებზე, რომლებზეც IBOR-ის რეფორმს შედეგებს უშუალო გავლენა ჰქონდა. ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვა ორივე, ფასს 9-ისა და ასს 39 -ის მიხედვით, მოითხოვს, რომ სამომავლო ჰეჯირებული ფულადი ნაკადები იყოს "მაღალი ალბათობით მოსალოდნელი". მაშინ, როდესაც ეს ფულადი ნაკადები დამოკიდებულია IBOR-ზე, შესწორებებით გამოწვეული გათავისუფლება საწარმოსგან მოითხოვს იმის დაშვებას, რომ ის საპროცენტო განაკვეთი, რომელზეც ეს ჰეჯირებული ფულადი ნაკადებია დაფუძნებული, რეფორმის შედეგად არ შეიცვლება. ორივე, ასს 39 და ფასს 9 მოითხოვს საპროგნოზო პერსპექტიულ შეფასებას იმისათვის, რომ გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა. მაშინ, როდესაც ამჟამად IBOR-ის და IBOR-ის ჩანაცვლების განაკვეთების მიხედვით ფულადი ნაკადები მოსალოდნელია, რომ იქნება თანაბრად ეკვივალენტური, რასაც მინიმუმამდე დაყავს ნებისმიერი არაეფექტურობა, ამას, შესაძლოა აღარ ჰქონდეს მნიშვნელობა, რადგან რეფორმის თარიღი ახლოვდება.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ამ შესწორებების მიხედვით, საწარმომ შეიძლება დაუშვას, რომ საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილი, რომელზეც ეფუძნება ჰეჯირებული მუხლის, ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული რისკის ფულადი ნაკადები არ შეცვლილა IBOR-ს რეფორმის შედეგად. IBOR-ის რეფორმას აგრეთვე შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ ჰეჯი გასცდეს 80-125%-იან ფარგლებს, რაც მოთხოვნილია ასს 39-ით, რეტროსპექტიული შემოწმებისთვის. ასს 39 შესაბამისად შესწორდა, რათა დაეშვა გამონაკლისი რეტროსპექტიული ეფექტურობის შემოწმებაში ისე, რომ ჰეჯი არ წყდება მხოლოდ IBOR-თან დაკავშირებული გაურკვევლობის პერიოდის განმავლობაში, იმიტომ, რომ რეტროსპექტიული ეფექტურობა სცდება ამ ფარგლებს. თუმცა, ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები, მათ შორის პერსპექტიული შეფასება, უნდა დაკმაყოფილდეს. გარკვეული რაოდენობის ჰეჯირებებში, ჰეჯირებული მუხლი ან ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს IBOR რისკის კომპონენტს, რომელიც არ არის ხელშეკრულებაში მითითებული. იმისათვის, რომ გამოყენებული იყოს ჰეჯირების აღრიცხვა, ორივე ფასს 9 და ასს 39 მოითხოვს, რომ აღნიშნული რისკის კომპონენტი იდენტიფიცირებადი და სარწმუნოდ შეფასებადი იყოს საწყისი ჰეჯირების დანიშნულების და არა მიმდინარე საფუძველზე. მაკრო ჰეჯირების კონტექსტში, მაშინ, როდესაც საწარმო, ხშირად, ჰეჯირების ურთიერთობას აბრუნებს საწყის მდგომარეობაში, შეღავათი გამოიყენება იმ დროიდან, როდესაც ჰეჯირებული მუხლი თავდაპირველად გამიზნული იყო ამ ჰეჯირების ურთიერთობისთვის. ნებისმიერი ჰეჯირების არაეფექტურობის აღრიცხვა მოხდება მოგებასა და ზარალში ორივე, ასს 39-ის და ფასს 9-ის მიხედვით. აღნიშნული შესწორებები განაპირობებს იმას, თუ როდის დასრულდება შეღავათები, რაც მოიცავს გაურკვევლობას, რომელიც წარმოშობილია იმით, რომ ადგილი აღარ აქვს საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმას, შესწორებები საწარმოებისგან მოითხოვს ინვესტორებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ამ გაურკვევლობების შედეგად პირდაპირი გავლენის ქვეშ მყოფი ჰეჯირების ურთიერობების შესახებ, მათ შორისაა ჰეჯირების ინსტრუმენტების ნომინალური ოდენობა, რომელზე შეღავათების გამოიყენება, შეღავათების გამოყენებისას გაკეთებული ყველა მნიშვნელოვანი დაშვებები და განსჯა, იმის რაოდენობრივი განმარტებები, თუ როგორი გავლენა აქვთ საწარმოზე IBOR რეფორმას და თუ როგორ მართვას ის გადასვლის პროცესს. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია – შესწორებები ასს 1-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის 2022 წლის 1 იანვრიდან). ეს ვიწრო მასშტაბის ვალდებულებები კლასიფიცირდება ან როგორც გრძელვადიანი, არ როგორც მოკლევადიანი, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არსებობს. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიანად თუ პირობა დარღვეულია საანგარიშო პერიოდის მსვლელობისას ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან არის მიღებული მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის შეთანხმება ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. დამატებით, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის ანგარიშსწორებასაც კომპანია მისი კაპიტალში გადაანგარიშებით შეძლებს.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8182 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

„ანგარიშსწორება" განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. არსებობს გამონაკლისი იმ გადაანგარიშებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება გადაანგარიშებული იყოს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გადაანგარიშების შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი-როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი. ჯგუფი ამჟამად ახორციელებს შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ასს 16, ასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) ასს 16-ის შესწორება უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ" მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების" მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი. ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად,დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ასს 37-ით.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებებადა საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.
იღუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების იღუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

ფასს 1 იძლევა საშეღავათო უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები.
ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულს საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.

მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები – შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდგენ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ შესწორებებმა მოიჯარეებს (და არა მეიჯარეებს) მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო განთავისუფლების ფორმით გამოხატული შეღავათით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული ქირავნობის კონცესია წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს ქირავნობის კონცესიის იგივენაირად აღრიცხვა, როგორც აღრიცხავდა მაშინ, თუ ის არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. ბევრ შემთხვევაში, ეს აისახება კონცესიის აღრიცხვაში, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდა. პრაქტიკული მიზანშეწონილობები მხოლოდ ისეთ ქირავნობის კონცესიებზე გამოიყენება, რომელიც COVID-19-ის პანდემიის პირდაპირ შედეგად დადგა და მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია: საიჯარო გადასახადების ცვლილება იწვევს იჯარის საზღაურის გადახედვას, რაც არსებითად იგივეა ან ნაკლები იმ იჯარის საზღაურზე, რაც უშუალოდ ცვლილებამდე იყო. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადახდებზე, რომლებიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე. და არ არსებობს იჯარის სხვა ვადებისა და პირობების სხვა არსებითი ცვლილება.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

თუ მოიჯარე არჩევს იჯარისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებას, მას მოუწევდა პრაქტიკული მიზანშეწონილობის თანმიმდევრულად იმ ყველა საიჯარო ხელშეკრულებაზე გამოყენება, რომელსაც გააჩნია მსგავსი მახასიათებლები და მსგავსი გარემოებები. შესწორება უნდა იქნეს გამოყენებული რეტროსპექტიულად ასს 8-სტან შესაბამისობაში, თუმცა მოიჯარეებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდების ციფრების გადაანგარიშება ან ასს 8-ს 28(f) ქვეპუნქტის მიხედვით გამჟღავნების უზრუნველყოფა. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

2019 და 2018 წლის ფინანსური წლისათვის ჯგუფის მთლიანი ამონაგები შედგება საავიაციო საწვავის და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლისგან. 2019 წელს ჯგუფის ამონაგებიდან მომსახურების ამონაგებმა შეადგინა 389 ათასი ლარი (138 ათასი აშშ დოლარი), ხოლო 2018 წელს 358 ათასი ლარი (141 ათასი აშშ დოლარი). დარჩენილი ნაწილი საავიაციო საწვავის გაყიდვიდან ამონაგებს წარმოადგენს.

8. გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2019 ლარი	2018 ლარი	2019 აშშ დოლარი	2018 აშშ დოლარი
მიწოდების ხარჯები	1,261	875	448	345
ცვეთის ხარჯები	965	647	342	255
სახელფასო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	606	467	215	184
დაზღვევა	174	150	62	59
რემონტი და მოვლა-შენახვა	17	32	6	13
ქირა	3	461	1	182
სხვა	215	341	76	135
სულ გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები	**3,241**	**2,973**	**1,150**	**1,173**

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დასურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019 ლარი	2018 ლარი	2019 აშშ დოლარი	2018 აშშ დოლარი
თანამშრომელთა სარგებლის დანახარჯები	326	223	115	88
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	360	-	128	-
საკონსულტაციო მომსახურების საფასური	75	227	27	90
ბანკის საკომისიო	63	26	22	10
სხვა საგადასახადო დანახარჯები	62	83	22	33
საოფისე მარაგები	13	16	5	6
სხვა დანახარჯები	92	44	33	17
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	**991**	**619**	**352**	**244**

10. ფინანსური ხარჯები

	2019 ლარი	2018 ლარი	2019 აშშ დოლარი	2018 აშშ დოლარი
უცხოური ვალუტის გაცვლის ზარალი, ნეტო	3,833	1,449	1,359	572
საპროცენტო ხარჯი	3,500	2,524	1,241	996
სულ ფინანსური ხარჯები	**7,333**	**3,973**	**2,600**	**1,568**

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დასურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი – 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

11. ძირითადი საშუალებები

	მიწა საკუთრებაში	შენობა-ნაგებობები	რეზერვუარები	მანქანა-დანადგარები და აჭურვილობა	ავტომობილები	სხვა	სულ ლარი	სულ დოლარი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,736**	**802**	**1,068**	**2,650**	**1,346**	**70**	**7,672**	**2,960**
დამატებები	-	-	44	159	219	29	451	**178**
კონვერტაცია	-	-	-	-	-	-	-	**(104)**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,736**	**802**	**1,112**	**2,809**	**1,565**	**99**	**8,123**	**3,034**
დამატებები	-	12	-	44	771	12	**839**	**298**
კონვერტაცია	-	-	-	-	-	-	-	**(211)**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,736**	**814**	**1,112**	**2,853**	**2,336**	**111**	**8,962**	**3,121**
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით								
ცვეთის ხარჯი	**-**	**12**	**21**	**62**	**80**	**4**	**179**	**69**
კონვერტაცია	-	40	73	216	293	15	637	**251**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	**(17)**
ცვეთის ხარჯი	**-**	**52**	**94**	**278**	**373**	**19**	**816**	**303**
კონვერტაცია	-	41	75	230	339	21	**706**	**250**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	**(26)**
წმინდა საბალანსო ღირებულება	**-**	**93**	**169**	**508**	**712**	**40**	**1,522**	**527**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი ცვეთა	**1,736**	**750**	**1,018**	**2,531**	**1,192**	**80**	**7,307**	**2,731**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,736**	**721**	**943**	**2,345**	**1,624**	**71**	**7,440**	**2,594**

შპს ჯიეიჯი-ს (შპს პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას მშობელი) გააჩნია ნასესხები სახსრები შპს Petrocas Energy International Limited-სგან (დაკავშირებული მხარე). ამავე დროს, Petrocas Energy International Limited-ს გააჩნია ნასესხები სახსრები რუსეთის რეგიონალური განვითარების ბანკისგან და შპს პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას ძირითადი საშუალებები გამოყენებულია რუსეთის რეგიონალური განვითარების ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

12. აქტივები გამოყენების უფლებით და იჯარის ვალდებულებები

ჯგუფი იჯარით იღებს ოფისს, მიწასა და საწვავის ბაზის ტერიტორიებს. ქირავნობის ხელშეკრულებები, როგორც წესი, ფორმდება ფიქსირებული პერიოდით, თუმცა შესაძლოა გააჩნდეს გაგრძელების შესაძლებლობა.
2018 წლის 31 დეკემბრამდე იჯარით აღებული ტერიტორიები და აღჭურვილობა კლასიფიცირებული იყო, როგორც ან ფინანსური იჯარები ან საოპერაციო იჯარები. 2019 წლის 1 იანვრიდან იჯარები აღიარდება, როგორც აქტივები გამოყენების უფლებით და შესაბამისი ვალდებულება - იმ დღიდან, როდესაც იჯარით გაცემული აქტივი კომპანიის მიერ გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება.

აქტივები გამოყენების უფლებით ქვემოთ მოცემული მუხლების კლასების მიხედვით შემდეგია:

	მიწა ლარი	საწვავის ბაზის ტერიტორიები ლარი	სულ ლარი	სულ აშშ დოლარი
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**152**	**2,333**	**2,485**	**928**
ცვეთის ხარჯი	(15)	(244)	(259)	(92)
კონვერტაციის სხვაობა	-	-	-	(60)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**137**	**2,089**	**2,226**	**776**

კომპანიამ იჯარის ვალდებულებები აღიარა შემდეგნაირად:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
მოკლევადიანი იჯარის ვალდებულება	225	38
გრძელვადიანი იჯარის ვალდებულება	2,222	2,447
იჯარის ვალდებულებები სულ	**2,447**	**2,485**

ლარში დენომინირებულ იჯარის ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯმა 12% შეადგინა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული სესხებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შესახებ სტატისტიკური მონაცემების. თანახმად.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია იმ დაბალღირებულებიან აქტივებთან, რომლებიც არ არის ნაჩვენები, როგორც მოკლევადიანი იჯარა და შესულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში შეადგენდა 3 ათას ლარს. სულ ფულადი სახსრების გადიწება იჯარებისთვის 2019 წელს იყო 371 ათასი ლარი.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

13. გუდვილი

გუდვილი წარმოქმნილია შპს ეარ ვისოლი-ს (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული - CGU) შეძენიდან, რაც ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს წარმოადგენს, რომელზეც ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ გუდვილის მონიტორინგი.

CGU-ს ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების გამოთვლებით. ეს გამოთვლები იყენებს ფულადი ნაკადების პროექციას ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულ ფინანსურ ბიუჯეტებზე დაყრდნობით. ჯგუფმა გამოიყენა მოგების მიდგომა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით. გამოყენების ღირებულების გამოთვლაში გამოყენებული დაშვებები, რომლის მიმართაც ანაზღაურებადი ღირებულება ყველაზე სენსიტიურია, იყო ხანგრძლივი ზრდის განაკვეთი ათი წლის განმავლობაში 1.9% წლიურად და WACC დაბეგვრის შემდეგ 13.99% წლიურად.

ჯგუფი გაყიდვების მოცულობას მშპ-ში ტურიზმის სექტორის წილზე დაყრდნობით პროგნოზირებს. ტურიზმის წილი ქვეყანაში ჩამოსული ტურისტების რაოდენობის და შესაბამისად განხორციელებული ავიარეისების რაოდენობის მიახლოებითი მაჩვენებელია.

მომწოდებლებთან და კლიენტებთან გაყიდვებისა და შესყიდვების ფასები დაფუძნებულია სახელშეკრულებო პირობებზე. შესყიდვის ფასი გამოითვლება საავიაციო საწვავის პლაცის (Platts) კოტირებაზე შეთანხმებული მარჟის დამატებით. იგივენაირად, გასაყიდი ფასი მიიღება საავიაციო საწვავის პლაცის (Platts) კოტირებაზე შეთანხმებული მარჟის დამატებით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ნებისმიერი შესაძლო ცვლილება მთავარ დაშვებებში, რომლებსაც ეფუძნება ანაზღაურებადი ღირებულება, არ გამოიწვევს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აგრეგირებული საბალანსო ღირებულების აგრეგირებულ ანაზღაურებად ღირებულებაზე გადაჭარბებას.

14. მარაგები

	2019 წლის 31 დეკემბერი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი	2018 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი
საწვავი	13,045	25,895	4,549	9,675
სათადარიგო ნაწილები	291	250	101	94
სხვა	5	-	2	-
სულ მარაგები	**13,341**	**26,145**	**4,652**	**9,769**

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 წლის 31 დეკემბერი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი	2018 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი
სავაჭრო მოთხოვნები	18,339	10,096	6,395	3,772
სხვა ფინანსური მოთხოვნები	227	94	79	35
საკრედიტო ზარალის ანარიცხის გამოკლებით	(360)	-	(126)	-
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	**18,206**	**10,190**	**6,348**	**3,807**
სხვა მოთხოვნები	305	124	106	46
გადახდილი ავანსები	3,706	197	1,293	74
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**22,217**	**10,511**	**7,747**	**3,927**

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

15 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შემდეგია:

მთლიანი ღირებულების პროცენტებში	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
		ლარი	ლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
სავაჭრო მოთხოვნები						
- მიმდინარე	2.0%	3,734	(74)	2.1%	1,302	(27)
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	2.0%	6,314	(124)	2.0%	2,202	(43)
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	2.0%	8,071	(158)	2.0%	2,814	(55)
- 91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	1.8%	220	(4)	1.3%	77	(1)
სულ სავაჭრო მოთხოვნები (მთლიანი საბალანსო ღირებულება)		**18,339**	**(360)**		**6,395**	**(126)**
საკრედიტო ზარალის ანარიცხი		(360)	-		(126)	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (საბალანსო ღირებულება)		**17,979**	**(360)**		**6,269**	**(126)**
სხვა ფინანსური მოთხოვნები						
- მოკლევადიანი	0%	227	-	0%	79	-
სულ სხვა მოთხოვნები		**227**	**-**		**79**	**-**
საკრედიტო ზარალის ანარიცხი		-	-		-	-
სულ სხვა მოთხოვნები (საბალანსო ღირებულება)		**227**	**-**		**79**	**-**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჭარბად უზრუნველყოფილი მოთხოვნა წარმოადგენს 13,552 ათას ლარს (4,726 ათას აშშ დოლარს), ზემოთხსენებული აქტივის (უძრავი ქონება) საამართლიანი ღირებულებით 15,916 ლარი (5,550 ათასი ლარი). დარჩენილი ნაწილი უზრუნველყოფის გარეშეა.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

15 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შემდეგია:

მთლიანი ღირებულების პროცენტებში	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
		ლარი	ლარი		აშშ დოლარი	აშშ დოლარი
სავაჭრო მოთხოვნები						
- მიმდინარე	0%	4,067	-	0%	1,520	-
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	0%	2,848	-	0%	1,064	-
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	0%	3,181	-	0%	1,188	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები (მთლიანი საბალანსო ღირებულება)		**10,096**	**-**		**3,772**	**-**
საკრედიტო ზარალის ანარიცხი		-	-		-	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (საბალანსო ღირებულება)		**10,096**	**-**		**3,772**	**-**
სხვა ფინანსური მოთხოვნები						
- მოკლევადიანი	0%	94	-	0%	35	-
სულ სხვა მოთხოვნები		**94**	**-**		**35**	**-**
საკრედიტო ზარალის ანარიცხი		-	-		-	-
სულ სხვა მოთხოვნები (საბალანსო ღირებულება)		**94**	**-**		**35**	**-**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჭარბად უზრუნველყოფილი მოთხოვნა არის 9,511 ათასი ლარის ოდენობით, აქტივის რეალური ღირებულება (უძრავი ქონება) არის 14,855 ათასი ლარი (5,550 ათასი აშშ დოლარი). დარჩენილი ნაწილი არასაკმარისად უზრუნველყოფილია (უზრუნველყოფის გარეშე).

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

16. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2019 წლის 31 დეკემბერი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი	2018 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი
მოთხოვნამდე დასაფარი საბანკო ნაშთები	2,767	1,395	965	521
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**2,767**	**1,395**	**965**	**521**

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საკრედიტო ხარისხი. მოთხოვნამდე დასაფარი საბანკო ნაშთები ინახება საქართველოს ერთ ბანკში, რომელსაც აქვს Ba3 რეიტინგი Moody-ს რეიტინგების სისტემის მიხედვით. დენომინაციის ვალუტის დეტალებისთვის, იხილეთ შენიშვნა 22.

17. საწესდებო კაპიტალი

წესდების მიხედვით ჯგუფმა მისი საწესდებო კაპიტალი 100 ლარის ოდენობით დააფიქსირა (აშშ დოლარი 42).კაპიტალი ჯერ არ არის გადახდილი და აღიარებულია, როგორც მფლობელისაგან მისაღები მოთხოვნა

18. ნასესხები სახსრები

	2019 წლის 31 დეკემბერი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი	2018 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი
ნასესხები სახსრები, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში	49,652	52,767	17,314	19,714
სულ ნასესხები სახსრები	**49,652**	**52,767**	**17,314**	**19,714**

ჯგუფს მიღებული აქვს ერთი სესხი (ორი ტრანშით) დაკავშირებული მხარის პეტროკას ენერჯი ინთერნეშენალ ლიმითედისგან. პირველი ტრანში 15,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და 2026 წლის 1 ნოემბერს დაფარვის ვადით და მეორე ტრანში 6,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 2027 წლის 12 სექტემბერს დაფარვის ვადით. საპროცენტო განაკვეთი ორივე ტრანშისთვის იყო წლიური 6%. 2019 წლის 1 აპრილიდან პირველი ტრანშის 15,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა წლიურ 6,5 %-მდე.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარი)

19. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვაწვდის ჯგუფის ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების და კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში ცვლილებების ანალიზს ყველა წარდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები ის მუხლებია, რომლებიც ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში მოხსენებულია, როგორც ფინანსური.

	ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან			
	ნასესხები სახსრები ლარი	იჯარის ვალდებულებები ლარი	სულ ლარი	სულ დოლარი
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**38,883**	**-**	**38,883**	**15,000**
დამატებები წლის განმავლობაში	15,733	-	**15,733**	**6,000**
წლის საპროცენტო ხარჯი, რომელიც დარიცხულია მოგება-ზარალში	2,524	-	2,524	988
საპროცენტო გადახდები	(2,526)	-	(2,526)	(988)
დაფარვა წლის განმავლობაში	(3,318)	-	(3,318)	(1,286)
გაცვლითი კურსების სხვაობები რომელიც წმინდად დარიცხულია მოგება-ზარალში	1,471	-	1,471	-
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**52,767**	**-**	**52,767**	**19,714**
ახალი სტანდარტების მიღება	-	**2,485**	**2,485**	**928**
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**52,767**	**2,485**	**55,252**	**20,642**
დამატებები წლის განმავლობაში	-	-		
წლის საპროცენტო ხარჯი, რომელიც დარიცხულია მოგება-ზარალში	3,341	159	**3,500**	1,232
საპროცენტო გადახდები	(3,339)	(159)	**(3,498)**	(1,232)
დაფარვა წლის განმავლობაში	(6,779)	(209)	**(6,988)**	(2,474)
გაცვლითი კურსების სხვაობები რომელიც წმინდად დარიცხულია მოგება-ზარალში	3,662	171	**3,833**	(1)
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**49,652**	**2,447**	**52,099**	**18,167**

20. ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით

2019 წლის 31 დეკემბერს ჯგუფს ჰქონდა ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც იძლეოდა დაკავშირებული მხარეებისგან საწვავის რეალური ღირებულებით შესყიდვის უფლებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს, რაც შეადგენდა 9,492 ათას ლარს (3,310 აშშ დოლარი) (2018: 19,849 ათასი ლარი (7,416 ათასი აშშ დოლარი). ამ უფლებით სარგებლობის პერიოდი არ არის შეზღუდული.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019 წლის 31 დეკემბერი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი	2018 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი
სავაჭრო დავალიანებები	19,681	9,503	6,862	3,550
სხვა დავალიანებები	77	73	27	27
მიღებული ავანსები	1,744	1,738	608	650
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	51	57	19	21
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**21,553**	**11,371**	**7,516**	**4,248**

22. ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური რისკის მართვა. ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკებს), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციის და კონტრაჰენტებთან სხვა გარიგებებს შედეგად, რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივებისა და არა საბალანსო ვალდებულებების წარმოშობას/ზრდას.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში. არ არსებობს გაცემული ფინანსური გარანტიები, კრედიტის გაცემის ვალდებულებები, გაუქმებული საკრედიტო ხაზები და ექსპორტის / იმპორტის აკრედიტივები.

ჯგუფის ბიზნეს მოდელის გათვალისწინებით (უმნიშვნელო მოთხოვნების ნაშთები და ანგარიშსწორებული ამონაგები), არ ითვლება, რომ საკრედიტო რისკს ჯგუფზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, ეს ის მიზეზია, რატომაც ჯგუფი არ ახორციელებს ინვესტიციებს რთული საკრედიტო რისკის მართვის სისტემების შექმნაში.

ზღვრები. ჯგუფი თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის მსესხებელთან, მსესხებელთა ჯგუფთან ან გეოგრაფიულ და დარგობრივ სეგმენტებთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. როგორც წესი, ხელმძღვანელობა ამტკიცებს პროდუქტებისა და სამრეწველო დარგების მიხედვით საკრედიტო რისკის ზღვრებს. მსგავსი რისკების მონიტორინგი რევოლვურ საფუძველზე ხორციელდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო ზღვრები ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ ანალიზს ექვემდებარება და მის მიერვე მტკიცდება. საკრედიტო რისკის არსებობის მონიტორინგის განსახორციელებლად იქმნება რეგულარული ანგარიშები სტრუქტურირებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ორიენტირებულია კლიენტის ბიზნეს და ფინანსურ წარმადობაზე. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება მომხმარებელთან უარყოფითი კრედიტუნარიანობით, მოხსენებულია და განხილულია ხელმძღვანელობის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაჰენტების წარმადობას და თვალყურს ადევნებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. *ECL* არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (მაგ., საკრედიტო ზარალის შეწონილი საშუალო, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ხდომილებები). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით. ECL-ის შეფასება ემყარება ჯგუფის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") და დისკონტირების განაკვეთი.

დეფოლტის რისკი (EAD) არის სამომავლო დეფოლტის თარიღით რისკის შეფასება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოსალოდნელი რისკის ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და დამტკიცებული საკრედიტო ხაზის მოსალოდნელ ათვისებას. PD არის დეფოლტის ალბათობის შეფასება, რომელიც მოსალოდნელია რომ მოხდეს დროის მოცემულ პერიოდში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") არის დეფოლტის დროს წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც მოსალოდნელია, რომ გამსესხებელი მიიღებს, უზრუნველყოფიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადის ჩათვლით. ის, როგორც წესი, გამოსახულია რომგორც დეფოლტის რისკის პროცენტი. მოსალოდნელი ზარალი დისკონტირდება ამჟამინდელ ღირებულებამდე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. დისკონტორების განაკვეთი არის ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური ან მასთან მიახლოებული საპროცენტო განაკვეთი ("EIR").

ხელმძღვანელობა ქმნის *სიცოცხლის ხანგრძლივობის განმავლობაში ECL (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის)* მოდელს, რაც გულისხმობს ზარალს, რომელიც წარმოიქმნება ამ ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი მომსახურების ვადის პერიოდში ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევაში. *12-თვიანი ECL* წარმოადგენს *სიცოცხლის ხანგრძლივობის განმავლობაში ECL*-ის ნაწილს, რაც განპირობებულია ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის შემთხვევებით საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, ან ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი *სიცოცხლის ხანგრძლივობის განმავლობაში*, თუ ეს წელზე ნაკლებია.

ECL, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვისაა შეფასებული, წარმოადგენს შეფასებას დროის მომენტში, ნაცვლად ციკლის განმავლობაში შეფასებებისა, რომლებიც საზოგადოდ გამოიყენება რეგულირების მიზნებისთვის. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ *პერსპექტიულ ინფორმაციას,* ანუ ECL ასახავს იმ ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების ალბათობით შეწონილ ცვლილებას,, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6786 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

დეფოლტის ალბათობის შეფასების მიზნებისათვის ჯგუფი დეფოლტს განსაზღვრავს, როგორც სიტუაციას, როდესაც რისკი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ ან მეტ კრიტერიუმს:

- მსესხებლის სახელშეკრულებო გადახდები 90 დღეზე მეტით არის ვადაგადაცილებული;
- მსესხებელი აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემული გადახდის არმოსალოდნელობის კრიტერიუმებს:

- მსესხებელი გარდაიცვალა;
- მსესხებელი არის გადახდისუუნარო;
- მოსალოდნელი ხდება, რომ მსესხებლის გაკოტრების პროცესი დაიწყება;

გამჟღავნების მიზნებისთვის ჯგუფის დეფოლტის განმარტება სრულად მიესადაგება გაუფასურებული კრედიტის მქონე აქტივების განმარტებას. ზემოთ მოცემული განმარტება გამოიყენება ჯგუფის ყველა სახის ფინანსური აქტივებისთვის.

ჯგუფი ECL შეფასებას ახორციელებს ყველა სახის ფინანსური ინსტრუმენტისათვის ინდივიდუალურ საფუძველზე.

ECL-ის ინდივიდუალურად შეფასება ტარდება საკრედიტო ზარალის სხვადასხვა შესაძლო შედეგის შეფასების შეწონვით თითოეული შედეგის ალბათობასთან. ჯგუფი განსაზღვრავს სულ მცირე ორ შესაძლო შედეგს თითოეული შეფასებული სესხისთვის, საიდანაც ერთ-ერთი განაპირობებს საკრედიტო ზარალს, თუნდაც მსგავსი შედეგის ალბათობა ძალიან დაბალი იყოს.

როგორც წესი, ECL არის საკრედიტო რისკის შემდეგი პარამეტრების ნამრავლი: EAD, PD და LGD რომლებიც განმარტებული და ახსნილია ზემოთ, რომელიც ახლანდელ ღირებულებამდე დისკონტირდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით. ECL განისაზღვრება საკრედიტო რისკის პარამეტრების წინასწარი შეფასებით (EAD, PD და LGD) თითოეული სამომავლო [თვე / წელი]-სა და მომსახურების ვადის პერიოდისთვის, თითოეული რისკის ან კოლექტიური სეგმენტისთვის. ეს სამი კომპონენტი ერთმანეთზე მრავლდება და შესწორდება გადარჩენის ალბათობით (ანუ, რისკი დაიფარა ან დეფოლტს ჰქონდა ადგილი გასულ თვეში). ასე ეფექტურად გამოითვლება ECL თითოეული სამომავლო პერიოდისთვის, რომელიც შემდეგ დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღამდე და ჯამდება. ECL-ის გამოთვლებში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი არის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ან მისი მიახლოებითი მნიშვნელობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. ჯგუფი გამოავლენს გარკვეულ ძირითად ეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და ECL-თან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი") მიიღება ჯგუფისგან და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო წლის განმავლობაში.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი კატეგორიები – ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა დავალიანებებისგან, ამ ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია ჯგუფის ოპერაციებისთვის ფინანსების მოზიდვა. ჯგუფს გააჩნია ფინანსური აქტივები, როგორებიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

	2019 წლის 31 დეკემბერი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი	2018 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,206	10,190	6,348	3,807
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,767	1,395	965	521
სულ ფინანსური აქტივები	**20,973**	**11,585**	**7,313**	**4,328**

	2019 წლის 31 დეკემბერი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი	2018 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19,681	9,503	6,862	3,550
ჩართული წარმოებულები	9,492	19,849	3,310	7,416
იჯარის ვალდებულებები	2,447	-	853	-
ნასესხები სახსრები	49,652	52,767	17,314	19,714
სულ ფინანსური ვალდებულებები	**81,272**	**82,119**	**28,339**	**30,680**

ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტებისგან წარმოქმნილი ძირითადი რისკები არის სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

სავალუტო რისკი ის რისკია, როდესაც ჯგუფის ფინანსური შედეგები ექცევა უცხოურის ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილებებისგან გამოწვეული უარყოფითი გავლენის ქვეშ. ჯგუფი ახორციელებს გარკვეულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ტრანზაქციებს. ჯგუფი არ იყენებს წარმოებულებს სავალუტო რისკის სამართავად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს უცხოური ვალუტით გამოსახული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
	1 აშშ დოლარი = 2,8677 ლარს	1 აშშ დოლარი = 2,6766 ლარს
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,242	756
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		3,726
სულ ფინანსური აქტივები	**2,242**	**4,482**
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	9,420
ჩართული წარმოებულები	9,492	19,849
ოჯარის ვალდებულებები	2,338	-
ნასესხები სახსრები	49,652	52,767
სულ ფინანსური ვალდებულებები	**61,482**	**82,036**
სულ წმინდა პოზიცია	**(59,240)**	**(77,554)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის მგრძნობელობა გაცვლითი კურსებისადმი სამუშაო ვალუტის 20%-ით გამყარება/გაუფასურებასთან მიმართებაში 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩაუტარდა მონეტარულ მუხლებს საანგარიშო თარიღისთვის, დენომინირებულს შესაბამის ვალუტებში:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარის გავლენა	
	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი – 20%
მოგება/ (ზარალი) დაბეგვრამდე	(11,848)	11,848

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარის გავლენა	
	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი – 20%
მოგება/ (ზარალი) დაბეგვრამდე	(15,511)	15,511

საპროცენტო განაკვეთის რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი არის საპროცენტო განაკვეთის უარყოფითი მოძრაობის გავლენა ჯგუფის ფინანსურ პოზიციებზე, რაც გამოიხატება მოზიდულ თანხებთან მიმართებაში საპროცენტო ხარჯების ზრდით ან განთავსებული თანხებისგან მიღებული მოგების შემცირებით. ჯგუფს არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რა ოდენობის უნდა იყოს ჯგუფის ფიქსირებულ თუ ცვლად განაკვეთებზე რისკისადმი დაქვემდებარება. საანგარიშო თარიღისათვის, ჯგუფს აქვს ერთი ნასესხები სესხი (ორი ტრანშით), რომელთა საპროცენტო განაკვეთები ფიქსირებული 6% და 6.5%-ია. საპროცენტო განაკვეთი შეიძლება გადაიხედოს გამსესხებლის მიერ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება აშშ დოლარში 3 თვიანი LIBOR-ის საპროცენტო განაკვეთის, ან საბაზრო პირობების არსებითი ცვლილება.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო მარჯა შესაძლოა გაიზარდოს მსგავსი ცვლილებების შედეგად, თუმცა შეიძლება შემცირდეს ან შექმნას ზარალი მოულოდნელი მოძრაობის წარმოქმნის შემთხვევაში. ჯგუფი არ აწარმოებს მისი საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებას.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს წარმოეშობა საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც მხარეების ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს ხელზე არსებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადების შემოდინების შემცირებას საანგარიშო თარიღისათვის. ჯგუფს არ გააჩნია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. ჯგუფს გააჩნია პოლიტიკა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროდუქციის და მომსახურების გაყიდვები იმ მომხმარებლებზე განხორციელდება, რომელსაც სათანადო საკრედიტო ისტორია აქვთ და მუდმივად ახორციელებს მისი მოთხოვნების ხანდაზმულობის მონიტორინგს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ჯგუფზე საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზემოქმედებას. საანგარიშო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება იყო:

	2019 წლის 31 დეკემბერი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი	2018 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18,206	10,190	6,348	3,807
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,767	1,395	965	521
	20,973	**11,585**	**7,313**	**4,328**

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ ახერხებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას.

შემდგომი ცხრილი დეტალურად ასახავს ჯგუფის ნარჩენ სახელშეკრულებო დაფარვის ვადებს მისი არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებებისთვის, შეთანხმებული დაფარვის პერიოდებით 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ცხრილებს საფუძვლად უდევს ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება ყველაზე ადრინდელ თარიღს, როდესაც ჯგუფს შესაძლოა მოეთხოვოს დაფარვა. ცხრილები მოიცავს ფულადი ნაკადების ძირ და პროცენტის თანხებს. სახელშეკრულებო ვადები ეფუძნება ყველაზე ადრინდელ თარიღს, როდესაც ჯგუფს შესაძლოა მოეთხოვოს დაფარვა.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1- დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი ლარი						
უპროცენტო	29,173	-	-	-	-	**29,173**
პროცენტიანი	18	1,758	5,332	28,537	16,454	**52,099**
	29,191	**1,758**	**5,332**	**28,537**	**16,454**	**81,272**

	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1- დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი ლარი						
უპროცენტო	29,352	-	-	-	-	**29,352**
პროცენტიანი		**1,606**	4,818	25,695	20,648	**52,767**
	29,352	**1,606**	**4,818**	**25,695**	**20,648**	**82,119**

	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1- დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი დოლარი						
უპროცენტო	10,172	-	-	-	-	**10,172**
პროცენტიანი	6	613	1,858	9,951	5,738	**18,167**
	10,178	**613**	**1,858**	**9,951**	**5,738**	**28,339**

	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1- დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი ლარი						
უპროცენტო	10,966	-	-	-	-	10,966
პროცენტიანი	-	600	1,800	9,600	7,714	19,714
	10,966	**600**	**1,800**	**9,600**	**7,714**	**30,680**

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	ურთიერთობა	2019 წლის 31 დეკემბერი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი	2018 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	3,706	94	1,292	35
ფინანსური ვალდებულება FVTPL-ით	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	9,494	19,849	3,311	7,416
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	19,544	9,453	6,815	3,532
ნასესხები სახსრები	საბოლოო აქციონერები	49,652	52,767	17,314	19,714

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები იყო შემდეგი:

	ურთიერთობა	2019 ლარი	2018 ლარი	2019 აშშ დოლარი	2018 აშშ დოლარი
საქონლის გაყიდვები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	31	17,062	11	6,732
სხვა საოპერაციო ხარჯები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	-	412		162
საპროცენტო ხარჯი	საბოლოო აქციონერები	3,341	2,524	1,185	996
შესყიდვები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	112,088	133,816	39,759	52,798

24. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზნები არის ჯგუფის უწარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. ჯგუფი არ ექვემდებარება გარედან დაკისრებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

25. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

ვალდებულებები. ჯგუფს 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საოპერაციო იჯარის ვალდებულებების გარდა არ ჰქონდა რაიმე არსებითი ვალდებულებები

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები. როდესაც ჯგუფი არის მოიჯარე, სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდები შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ფარგლებში შემდეგია:

	2018 წლის 31 დეკემბერი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი
არაუგვიანეს 1 წლისა	348	130
1 წლის შემდეგ და არაუგვიანეს 5 წლისა	1,372	513
5 წლის შემდეგ	1,894	709
სულ საოპერაციო იჯარის ვალდებულებები 31 დეკემბერს	**3,614**	**1,352**

სამართალწარმოება. 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სამართალწარმოების პროცესში..

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება.
საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

26. რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასების მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

26 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ა) რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებები

რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებებია, რომელთა გაკეთება მოითხოვება ან ნებადართულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. რეალური ღირებულების იერარქიის დონეები, რომელთა მიხედვით ხდება რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, შემდეგია:

	2019 წლის 31 დეკემბერი ლარი				2018 წლის 31 დეკემბერი ლარი			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
მარაგები	-	13,045	-	**13,045**	-	25,895	-	**25,895**
ფინანსური ვალდებულებები								
ფინანსური ვალდებულება FVTPL- ით	-	9,492	-	**9,492**	-	19,849	-	**19,849**

	2019 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი				2018 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
მარაგები	-	4,549	-	**4,549**	-	9,675	-	**9,675**
ფინანსური ვალდებულებები								
ფინანსური ვალდებულება FVTPL- ით	-	3,310	-	**3,310**	-	7,416	-	**7,416**

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება უნდა გამჟღავნდეს. იმ აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, არის შემდეგი:

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

26 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	2019 წლის 31 დეკემბერი ლარი				2018 წლის 31 დეკემბერი ლარი			
	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	2,767	-	**2,767**	-	1,395	-	**1,395**
სხვა ფინანსური აქტივები								
სავაჭრო მოთხოვნები	-	17,979	-	**17,979**	-	10,096	-	**10,096**
სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	227	-	**227**	-	94	-	**94**
სულ აქტივები	**-**	**20,973**	**-**	**20,973**	**-**	**11,585**	**-**	**11,585**
ვალდებულებები								
წასესხები სახსრები								
ვადიანი სესხი	-	49,652	-	**49,652**	-	52,767	-	**52,767**
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
სავაჭრო ვალდებულებები	-	19,681	-	**19,681**	-	9,503	-	**9,503**
ფინანსური ვალდებულება FVTPL-ით	-	9,492		**9,492**	-	19,849	-	**19,849**
სულ ვალდებულებები	**-**	**78,825**	**-**	**78,825**	**-**	**82,119**	**-**	**82,119**

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

26 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	2019 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი				2018 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი			
	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	965	-	**965**	-	521	-	**521**
სხვა ფინანსური აქტივები								
სავაჭრო მოთხოვნები	-	6,269	-	**6,269**	-	3,772	-	**3,772**
სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	79	-	**79**	-	35	-	**35**
სულ აქტივები	**-**	**7,313**	**-**	**7,313**	**-**	**4,328**	**-**	**4,328**
ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები								
ვადიანი სესხი	-	17,314	-	**17,314**	-	19,714	-	**19,714**
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
სავაჭრო დავალიანებები	-	6,863	-	**6,863**	-	3,550	-	**3,550**
ფინანსური ვალდებულება FVTPL-ით	-	3,310		**3,310**	-	7,416	-	**7,416**
სულ ვალდებულებები	**-**	**27,487**	**-**	**27,487**	**-**	**30,680**	**-**	**30,680**

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

26 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა საბალანსო ღირებულებით. ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა შეფასებული მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. საზოგადოდ, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება არის მათი საბალანსო ღირებულება. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების მეთოდების გამოყენებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება, რომელთაც აქვთ გაცხადებული დაფარვა, შეფასებულ იქნა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

27. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

.

COVID-19. 2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19-ის (კორონავირუსის) შესახებ. წლის ბოლოსთვის მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აცნობეს შეზღუდული რაოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების შესახებ. 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა გლობალურ დონეზე და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც არ დააყოვნა. გადაიდო საქართველოდან/საქართველოსკენ განხორციელებული საერთაშორისო რეგულარული სამგზავრო ავიარეისები და ჯგუფი მეორე კვარტალში ელოდება საწყისი ბიუჯეტირებული გაყიდვების მოცულობისა და შემოსავლებისაგან გადახრას.
ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს გავრცელება იქნება საბალანსო უწყისის შემდგომი არაკორექტირებადი მოვლენა. მას შემდეგ, რაც გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, ადმინისტრაციის თანამშრომლები დისტანციურად მუშაობენ, თბილისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში ოპერაციები ხორციელდება ჩარტერული სატვირთო და სამგზავრო ფრენებისთვის, ამავდროულად დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის (NCDC) და საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციების რეკომენდაციები და პრევენციული ზომები მიღებული და გათვალისწინებულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციური გავლენის შეფასებას და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას შემდგომი გავლენების თავიდან ასაცილებლად. რადგანაც საქართველომ წარმატებით მართა პანდემიით გამოწვეული კრიზისი და ის უსაფრთხო ქვეყნების სიაშია, მოსალოდნელია, რომ საერთაშორისო ფრენები სრულად აღდგება წლის დასასრულამდე.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

28. ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ და ავტორიზებულია გამოსაცემად 2020 წლის 29 ივნისს.

29. სააღრიცხვო პოლიტიკა 2019 წლის 1 იანვრამდე

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ეხება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ შესადარის პერიოდს და რომელიც შეიცვალა ფასს 16, *იჯარა*-ს ძალაში შესვლის შედეგად, შემდეგია:

საოპერაციო იჯარა. როდესაც ჯგუფი მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა ჯგუფს მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით აღებაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების უფლება აქვს, შემდგომი გადახდებით, თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას.

* აშშ დოლარის ეკვივალენტი ციფრები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის 31 დეკემბრის დახურვის გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2.8677 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). თანხები მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონვერტირებულია ლარიდან აშშ დოლარში 2019 წლის საშუალო გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = 2.8192 ლარი (2018 : 1 აშშ დოლარი = 2.5345 ლარს)

„ჯიეიჯი“ ჯგუფი

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

(2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის)

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე 3

1. ჯგუფის საქმიანობა და ტექნოლოგიური პროცესი 4

2. სამომავლო გეგმები 5

3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 5

3.1 ფინანსური მაჩვენებლები 5

3.2 არაფინანსური მაჩვენებლები 5

4. რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ 6

4.1 ფინანსური რისკები 6

4.2 საოპერაციო რისკები 7

5. Covid-19-ის გავლენა ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებებზე 7

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობითი ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობით ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე, მმართველობით ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვდენილობაზე ფინანსურ ანგარიშგებასთან.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 29 ივნისს.

შპს "ჯიეიჯი"

_____

დირექტორი
კელვინ უილიამ ალდუს

29 ივნისი 2020
თბილისი, საქართველო

MANAGEMENT RESPONSIBILITY REPORT ON PREPARATION AND PRESENTATION OF MANAGERIAL ACCOUNTS FOR THE YEAR ENDED ON 31 DECEMBER 2019

Company management is responsible for preparation and presentation of management accounts in line with the Law of Georgia on Accounting, Audit and Reporting, as well as for internal control which they find relevant for preparation of management reports containing no significant discrepancies caused by imposture or mistakes.

The Management is responsible for ensuring:

- Apopropriate presentation of management reports in line with the Law of Georgia on Accounting, Audit and Reporting;
- Preparation of management reports as per relevant regulations and standards;
- Compatibility of information contained in the reports with financial accounts.

This Management Report for the year ended on 31 December 2019 has been approved by Company Management for publication on 29 June 2020.

GAG LLC

Kelvin William Aldus
Director

29 June 2020
Tbilisi, Georgia

1. ჯგუფის საქმიანობა და ტექნოლოგიური პროცესი

შპს „ჯიეიჯის" ძირითადი საქმიანობაა საავიაციო საწვავის იმპორტი და საბითუმო რეალიზაცია როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი, ისე არარეზიდენტი კომპანიებისათვის. 2017 წლის 15 სექტემბერს შპს „ჯიეიჯიმ" სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასაგან" შეიძინა შპს „ეარ ვისოლის" 100%-იანი წილი. 2018 წლის 31 ოქტომბერს კომპანიას გადაერქვა სახელი და ფუნქციონირება განაგრძო შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას" სახელით. წარმოგიდგენთ შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას" საქმიანობის და ტექნოლოგიური პროცესების მოკლე აღწერას.

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას" საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საავიაციო საწვავის მიწოდება საქართველოს აეროპორტებში ოპერირებად ავიაკომპანიებზე; კომპანიის საავიაციო საწვავის შესანახი ბაზები მდებარეობს თბილისში, ნატახტარში, ბათუმსა და სამტრედიაში;

კომპანიის საკუთრებაშია 5,500 კუბური მეტრი მოცულობის თბილისის ნავთობტერმინალი, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მოპირდაპირედ და აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და უსაფრთხოების მკაცრი ნორმებით დაცული ჰიდრანტის ინფრასტრუქტურით; ჰიდრანტის სისტემა წარმოადგენს სპეციალურ მიწისქვეშა მილგაყვანილობას (1,8 კმ); მისი საშუალებით შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას" თბილისის ტერმინალის რეზერვუარები პირდაპირ უკავშირდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ბაქანს, სადაც დისპენსერებით ადგილზე ხდება საწვავის ჩატვირთვა ავიალაინერებში. ტერმინალში დამონტაჟებულია სისტემის მართვის პულტი, რომელიც საშუალებას იძლევა ნებისმიერ ეტაპზე გაკონტროლდეს საწვავის ავიალაინერში ჩატვირთვის პროცესი. ჰიდრანტის სისტემის პარალელურად შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია" უზრუნველყოფს თვითმფრინავების საწვავით გამართვას უახლესი ტიპის სხვადასხვა ტევადობის სპეც. მანქანებით.

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას" ნავთობტერმინალი აღჭურვილია უმაღლესი ხარისხის მანქანა-დანადგარებით (ტუმბოებით, ფილტრაციის სისტემებით და ა.შ.) და უზრუნველყოფს ავიასაწვავის 2 ტიპის - Jet A-1 და TS-1 შენახვა-მიწოდებას. ასევე თბილისის ბაზაზე ფუნქციონირებს ნავთობპროდუქტების ტესტირების აკრედიტირებული ლაბორატორია, რომელსაც ევალება იმპორტირებული საავიაციო საწვავის ხარისხის რეგულარული შემოწმება; ლაბორატორიის პერსონალი საავიაციო საწვავის შემოწმებას ახორციელებს საწვავის ხარისხის კონტროლის პროცედურების სრული დაცვით.

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია" საქმიანობას ახორციელებს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში. აგრეთვე შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" სამტრედიის სახმელეთო ტერმინალში ჩვენი კომპანიისათვის გამოიყო ცალკე მდგომი რეზერვუარები საერთო ტევადობით 1100 მ3, რომელიც დამუშავებულია უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად და განკუთვნილია დასავლეთ საქართველოში მისაწოდებელი საავიაციო საწვავის შესანახად. თბილისისა და სამტრედიის ბაზებში საწვავის მიწოდება ხორციელდება სარკინიგზო ცისტერნების მეშვეობით, რაც შეეხება დანარჩენ ტერიტორიულ ერთეულებს, საავიაციო საწვავის გადატანა ხდება მხოლოდ საავიაციო საწვავისთვის განკუთვნილი ავტოცისტერნებით.

კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ბაზების მოწყობა, საქმიანობა და საწვავის ხარისხის კონტროლის პროცედურების შესრულების ორგანიზება ისე, რომ დაცული იქნას ავიაკომპანიების საწვავით მომსახურების და უსაფრთხოების ყველა მოთხოვნა. ბაზების საქმიანობაზე ზედამხედველობასა და ტექნიკური მდგომარეობის შეფასებას სასერთიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად რეგულარულად აკონტროლებს „სამოქალაქო ავიაციის სააგენტო"; ასევე პეტროკას

ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას ბაზების საქმიანობას რეგულარულად ამოწმებს საერთაშორისო საჰაერო სატრანსპორტო ასოციაცია IATA-ს საინსპექციო ჯგუფი (IFQP); ინსპექციის პროცესის დასრულების შემდეგ IATA-ს გუნდი ამზადებს წერილობით დასკვნას, სადაც დეტალურად ფასდება ბაზის მუშაობა და იწერება რეკომენდაციები სამუშაო პროცედურების დახვეწის და ბაზის მუშაობის გასაუმჯობესებლად. IATA-ს დასკვნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ავიაციის სფეროში და საქართველოს ბაზარზე მომუშავე ყველა საერთაშორისო ავიაკომპანიისათვის.

რაც შეეხება შპს „ჯიეიჯის", მისი საქმიანობა მოიცავს საავიაციო საწვავის (JET A-1, TS-1) იმპორტს და საბითუმო რეალიზაციას როგორც შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას", ასევე სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კომპანიებისათვის. კომპანიას საავიაციო საწვავი შემოაქვს და ასაწყობებს ფოთის პორტში მდებარე „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედ საქართველოს" ტერმინალში; და საწვავის მიწოდებას ახორციელებს კლიენტების მოთხოვნისამებრ პარტიებად. საწვავის ტრანსპორტირება კლიენტის დანიშნულების ადგილამდე ხორციელდება სარკინიგზო ვაგონ-ცისტერნების მეშვეობით. ასევე შესაძლოა რეალიზაცია განხორციელდეს ფოთშივე - „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედ საქართველოს" რეზერვუარში.

2. სამომავლო გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს პროდუქტის და მომსახურების მაღალი ხარისხის შენარჩუნების პარალელურად საავიაციო საწვავის რეალიზაციის გაზრდა და ახალი კლიენტების მოძიება; კომპანიის მიზანი სრულ თანხვედრაშია მთავრობის პოლიტიკასთან, მაქსიმალურად მიმზიდველი გახადოს ქვეყანა ტურისტებისათვის, რაც გაზრდის უცხოელ ვიზიტორთა და შესაბამისად ქვეყანაში მოქმედი ავიაკომპანიების/ავიარეისების რაოდენობას.

3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

3.1 ფინანსური მაჩვენებლები

შპს „ჯიეიჯი" დაფუძნდა 2017 წლის 4 აგვისტოს, მისი უშუალო დამფუძნებელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პეტროკას ფიუელ სერვისიზ". 2017 წლის 15 სექტემბერს შპს „ჯიეიჯიმ" შეიძინა შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას" (ყოფილი შპს „ეარ ვისოლის") 100%-იანი წილი. შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას" შემოსავალმა 2019 წელს შეადგინა 142,039 ათასი ლარი, ხოლო 2018 წელს 125,285 ათასი ლარი; მოგებამ 2019 წელს შეადგინა 10,877 ათასი ლარი, ხოლო 2018 წელს - 9,263 ათასი ლარი. შპს „ჯიეიჯის" კონსოლიდირებულმა შემოსავალმა 2019 წელს შეადგინა 142,039 ათასი ლარი, 2018 წელს კი - 137,383 ათასი ლარი; მოგებამ 2019 წელს შეადგინა 3,476 ათასი ლარი, 2018 წელს კი - 5,276 ათასი ლარი.

3.2 არაფინანსური მაჩვენებლები

გარემოს დაცვა - კომპანია აცნობიერებს პასუხისმგებლობას, თავისი საოპერაციო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარემოს შესაძლო დაბინძურებაზე. ეს შეიძლება იყოს ნავთობპროდუქტების დაღვრა, ხანძარი ან აფეთქება. ასეთი შემთხვევების პრევენციის მიზნით,

კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით შემუშავებული და დანერგილი გვაქვს უსაფრთხოების და კონტროლის პროცედურები, ტექნიკური პერსონალი აღჭურვილია სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებითა თუ სხვა აუცილებელი აღჭურვილობებით. ბაზების დიზაინში იმთავითვე გათვალისწინებულია უსაფრთხოების ის ზომები, რომელიც მიმართულია პერსონალზე თუ გარემოზე ზიანის მინიმიზირებისკენ. დიდი ყურადღება ექცევა შემოწმების დროს გამოვლენილ თუნდაც მცირე ხარვეზის დროულ გამოსწორებას.

4. რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

კომპანია მართავს ფინანსურ და არა ფინანსურ რისკებს რათა მოახდინოს პრობლემის დროული აღმოჩენა და შესაძლო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება. ფინანსური რისკი გულისხმობს იმის რისკს, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ფინანსური ვალდებულებების შემცირება. კომპანია მუდმივად ახორციელებს ზემოთ ხსენებული მნიშვნელოვანი ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკების გადახედვას, რომლის მიზანია უზრუნველყოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ფინანსური რისკების, გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის რისკის მაქსიმალურად შემცირება.

4.1 ფინანსური რისკები

სავალუტო რისკი - ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილების უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია საწვავის შესყიდვას ახორციელებს არარეზიდენტი მომწოდებლისგან, ხოლო რეალიზაცია ხორციელდება როგორც არარეზიდენტ, ისე რეზიდენტ მომხმარებლებზე; შესაბამისად კომპანია მოწოდებული საწვავის ღირებულების გადახდის მომენტში დგას სავალუტო რისკის წინაშე. ამ რისკთან დაკავშირებით კომპანიამ განიხილა ჰეჯირება, თუმცა ჩათვალა, რომ ჰეჯირებასთან დაკავშირებული დანახარჯები შეიძლებოდა უფრო წამგებიანი ყოფილიყო ვიდრე ამ მომენტში არსებული სავალუტო ფინანსური რისკები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი – არაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილების უარყოფითად ასახვა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. საპროცენტო განაკვეთის რისკი გამოიხატება მოზიდულ თანხებში საპროცენტო განაკვეთების გაზრდით. ჯგუფს არ გააჩნია ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთების მიმართ არსებული რისკის დადგენის ფორმალური პოლიტიკა. თუმცა, საანგარიშგებო დღის მდგომარეობით, ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, მაგრამ გამსესხებლის მიერ მათი გადახედვის უფლებით, რომელიც მოქმედებს აშშ დოლარში 3 თვიანი LIBOR-ის მნიშვნელოვანი ცვლილების ან ბაზრის სხვა მასშტაბური ცვლილების შემთხვევაში.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კონტრაჰენტის მხრიდან ვალდებულებათა შეუსრულებლობას შეუძლია შეამციროს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების შემოდინება. რისკის მართვასთან სწორი მიდგომის ხარჯზე, აღნიშნული რისკი დაბალია, რადგან, კომპანიას აქვს პოლიტიკა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროდუქტებისა და მომსახურებათა გაყიდვა ხორციელდებოდეს სათანადო საკრედიტო ისტორიის მქონე კლიენტებზე. ასევე, კომპანია მუდმივ მონიტორინგს უწევს მოთხოვნების ვადიანობას. მაქსიმალური საკრედიტო რისკის მოცულობა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების ტოლია.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც გაუფასურების ხარჯის გამოკლებით აღირიცხება, წარმოადგენს ჯგუფზე საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზემოქმედებას. ჯგუფი როგორც საცალო, აგრეთვე საბითუმო ბაზარზე ოპერირებს.

საცალო ბაზარზე გაყიდვები ხდება წინასწარი გადახდით. საბითუმო ბაზარზე კი ყველა კლიენტი, ჯგუფთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, კლიენტის მიღების პროცედურას გადის. შედეგად, ჯგუფი მხოლოდ სანდო საკრედიტო მდგომარეობის კლიენტებს არჩევს. კლიენტებს კრედიტის ლიმიტიც უწესდებათ.

ლიკვიდობის რისკი - რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას. კომპანია მუდმივად აანალიზებს თანაფარდობას ფინანსურ ვალდებულებსა და საოპერაციო საქმიანობიდან შემოსულ ფულად ნაკადებს შორის, რითიც მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

4.2 საოპერაციო რისკები

ტექნოგენური ავარიები და უბედური შემთხვევები - იმის გათვალისწინებით, რომ საავიაციო საწვავის ტერმინალი წარმოადგენს მომეტებული საფრთხის ობიექტს, აუცილებელია საოპერაციო პროცესის ყოველი ელემენტის რისკ-ფაქტორების შეფასება. აღნიშნული საფრთხეებიდან აღსანიშნავია:

- ნავთობპროდუქტის დაღვრა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გარემოს მნიშვნელოვანი დაბინძურება და პროდუქტის დანაკარგები.
- ხანძარი და აფეთქება, რამაც შეიძლება მიაყენოს გამოუსწორებელი ზიანი ინფრასტრუქტურას, ადამიანების ჯანმრთელობას და გარემოს მნიშვნელოვანი დაბინძურება გამოიწვიოს.
- სხვადასხვა სამუშაოების ჩატარებისას პერსონალის დაზიანება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს დახურულ სივრცეში შესვლამ, სიმაღლიდან ვარდნამ და ა.შ

საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტებს მოთხოვნების გათვალისწინებით, აუცილებელია საქმიანობის პროცესში მოსალოდნელი საფრთხეების რისკების შეფასება და მათი მინიმიზირება. რისკების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ კომპანიის შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალისტები და სხვადასხვა სამსახურების გამოცდილი პერსონალი. საოპერაციო პროცესის შედეგად წარმოქმნილი რისკების შეფასების შედეგად დგინდება პროცედურები, რომელთა დაცვაც მოითხოვება საწვავგამმართველი საწარმოს ყველა თანამშრომლის მიერ. საოპერაციო პროცესი წარმოებს დამტკიცებული პროცედურების და ინსტრუქციების მიხედვით, სარემონტო სამუშაოები კი ტარდება სამუშაოზე დაშვების ნებართვის სისტემის მიხედვით. ტარდება პერიოდული ტრენინგები და ავარიული სიტუაციების სიმულირება რომელშიც მონაწილეობას იღებს მთელი პერსონალი.

5. Covid-19-ის გავლენა ფინანსურ და მმართველობით აწგარიშგებებზე

2019 წლის ბოლოს ცნობილი გახდა ახალი კორონავირუსის COVID-19-ის შესახებ. წლის ბოლოსთვის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ფლობდა ინფორმაციას ადამიანების გარკვეულ ოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შესახებ. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსი გავრცელდა გლობალურად და გაიზარდა მისი უარყოფითი გავლენა მსოფლიოს მასშტაბით. შესაბამისად საქართველოს მთავრობამ ვირუსული პანდემიის მიმართ და საქართველოში ვირუსის გავრცელების შესაფერხებლად მკაცრი ზომები მიიღო. ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა.

საკუთარი თანამშრომლების ჯანმრთელობის დასაცავად და საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების უზრუნველსაყოფად კომპანიამ სწრაფი და ეფექტური ზომები მიიღო. ხელმძღვანელობის მიერ მომზადდა და დამტკიცდა ინფექციის პრევენციისა და კონტროლის გეგმა. გეგმაში აისახა

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები და გაეცნო კომპანიის თანამშრომლებსა და კონტრაქტორებს. გარდა ამისა, გეგმაში გათვალისწინებულია დაავადებათა ეროვნული ცენტრისა (NCDC) და ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული ყველა რეკომენდაცია. კომპანიის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით უზრუნველყოფილია ძირითადი პროცესების შეუფერხებლად მიმდინარეობა და შესაძლო ინფექციის შემთხვევაში საოპერაციო საქმიანობაში უშუალოდ მონაწილე პერსონალი ჩანაცვლდება შემდეგი ცვლით. საგანგებო მდგომარეობის ამოქმედებისთანავე კომპანიის ადმინისტრაციული პერსონალი და ასევე თანამშრომლები, რომლებიც მაღალი რისკის კატეგორიაში შედიან, გადავიდნენ დისტანციურ მუშაობაზე; თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში ყველა აუცილებელი პრევენციული ზომის გათვალისწინებით გრძელდება ჩარტერული სატვირთო და სამგზავრო ავიარეისების მომსახურება.

ვირუსის პანდემიის განმავლობაში შეჩერებულია საქართველოში/საქართველოდან რეგულარული სამგზავრო ფრენები; ეკონომიკის ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობის მოლოდინია, რომ 2020 წლის მეორე კვარტალში მოხდება გაყიდვების მოცულობისა და შემოსავლის შემცირება ბიუჯეტირებულ მონაცემებთან შედარებით. ხელმძღვანელობა პანდემიას არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენად მიიჩნევს. ხელმძღვანელობა გააგრძელებს სიტუაციის პოტენციური შედეგების შეფასებას და გადადგამს ყველა შესაძლო ნაბიჯს შემდგომი უარყოფითი შედეგების შესამცირებლად. მას შემდეგ, რაც საქართველომ წარმატებით გაართვა თავი პანდემიის კრიზისს და მიჩნეულია მსოფლიოში ერთ-ერთ უსაფრთხო ქვეყნად, ჩვენ ველით, რომ წლის ბოლომდე სრულად აღდგება მოთხოვნა საერთაშორისო ფრენებზე.

არანაკლებ მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში არსებული მოლოდინების და ასევე ხელმისაწვდომი საბრუნავი კაპიტალის გათვალისწინებით კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200565904
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.08.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	სალომე სალუქვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	597999990
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	64115774245420

ორიათას ოცი წლის თვრამეტ აგვისტოს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - შპს ჯეიჯი ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 136.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 138 (ას ოცდათვრამეტი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ცხელ ხაზზე: +995(32) 2 66 19 18